

შპს “რუსთავის #1 სააგადმყოფო”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ.....	2
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4
კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	5
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები.....	6-15

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „რუსთავის #1 საავადმყოფო“-ს და მისი შვილობილების (ჯგუფი) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი:

პაპუნა ბახტაძე

მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე

29 სექტემბერი 2023 წელი

საქართველო, რუსთავი

შპს „რუსთავის #1 საავადმყოფო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „რუსთავის #1 საავადმყოფო“-ს და მისი შვილობილების (ჯგუფი) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.


2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი:

პაპუნა ბახტაძე

29 სექტემბერი 2023 წელი

საქართველო, რუსთავი



მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2 321 667	2 363 613
არამატერიალური აქტივები	5	1 482	4 451
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 323 149	2 368 064
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	615 810	449 208
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2 666 356	1 234 888
სავალდებულო აქტივები		12 015	143 198
ფული და ფულის ექვივალენტები	8	1 318 017	2 477 605
სულ მიმდინარე აქტივები		4 612 198	4 304 899
სულ აქტივები		6 935 347	6 672 963
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		6 397 274	5 784 426
სულ კაპიტალი		6 397 274	5 784 426
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	186 045	529 643
გადასახდელი ხელფასები		352 028	358 894
სულ მიმდინარე ვალდებულებები		538 073	888 537
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6 935 347	6 672 963

დირექტორი:

პაპუნა ბახტაძე

მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე

29 სექტემბერი 2023 წელი

საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 6-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რუსთავის #1 საავადმყოფო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2 321 667	2 363 613
არამატერიალური აქტივები	5	1 482	4 451
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 323 149	2 368 064
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	615 810	449 208
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2 666 356	1 234 888
საგადასახადო აქტივი		12 015	143 198
ფული და ფულის ექვივალენტები	8	1 318 017	2 477 605
სულ მიმდინარე აქტივები		4 612 198	4 304 899
სულ აქტივები		6 935 347	6 672 963
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		6 397 274	5 784 426
სულ კაპიტალი		6 397 274	5 784 426
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	186 045	529 643
გადასახდელი ხელფასები		352 028	358 894
სულ მიმდინარე ვალდებულებები		538 073	888 537
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6 935 347	6 672 963

დირექტორი:

პაპუნა ბახტაძე

29 სექტემბერი 2023 წელი

საქართველო, რუსთავი

მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე



შენიშვნები გვერდებზე 6-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან		8 476 061	14 708 670
განული მომსახურების თვითღირებულება		(5 620 944)	(7 928 665)
ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან		1 129 283	260 111
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(989 149)	(229 246)
საერთო მოგება		2 995 251	6 810 870
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(2 046 606)	(2 874 766)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		118 657	81 784
საოპერაციო მოგება		1 067 302	4 017 888
არასაოპერაციო შემოსავალი		14 822	175 741
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)		43	2 777
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(87 979)
მოგება დაბეგვრამდე		1 082 167	4 108 427
მოგების გადასახადი		(70 399)	(62 740)
პერიოდის მოგება		1 011 768	4 045 687
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1 011 768	4 045 687

დირექტორი:

პაპუნა ბახტაძე

მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე

29 სექტემბერი 2023 წელი

საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 6-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რუსთავის #1 საავადმყოფო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან		8 476 061	14 708 670
განუღმებული მომსახურების თვითღირებულება		(5 620 944)	(7 928 665)
ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან		1 129 283	260 111
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(989 149)	(229 246)
საერთო მოგება		2 995 251	6 810 870
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(2 046 606)	(2 874 766)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		118 657	81 784
საოპერაციო მოგება		1 067 302	4 017 888
არასაოპერაციო შემოსავალი		14 822	175 741
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეთო)		43	2 777
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(87 979)
მოგება დაბეგვრამდე		1 082 167	4 108 427
მოგების გადასახადი		(70 399)	(62 740)
პერიოდის მოგება		1 011 768	4 045 687
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1 011 768	4 045 687

დირექტორი:

პაპუნა ბახტაძე

მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე

29 სექტემბერი 2023 წელი

საქართველო, რუსთავი



შენიშვნები გვერდებზე 6-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისათვის	-	2 122 962	2 122 962
პერიოდის სრული შემოსავალი	-	4 045 687	4 045 687
დივიდენდის გატანა	-	(384 223)	(384 223)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	-	5 784 426	5 784 426
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 011 768	1 011 768
დივიდენდის გატანა	-	(398 920)	(398 920)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	6 397 274	6 397 274

დირექტორი:

პაპუნა ბახტაძე

მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე

29 სექტემბერი 2023 წელი

საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 6-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „რუსთავის #1 საავადმყოფო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	საწყისი კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისათვის	-	2 122 962	2 122 962
პერიოდის სრული შემოსავალი	-	4 045 687	4 045 687
დივიდენდის გადანა	-	(384 223)	(384 223)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	-	5 784 426	5 784 426
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 011 768	1 011 768
დივიდენდის გადანა	-	(398 920)	(398 920)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	6 397 274	6 397 274

დირექტორი:

პაპუნა ბახტაძე

29 სექტემბერი 2023 წელი

საქართველო, რუსთავი



მთავარი ბუღალტერი:

თამარი ნემსაძე

შენიშვნები გვერდებზე 6-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “რუსთავის #1 საავადმყოფო” შემდგომში - “კომპანია” რეგისტრირებულია 2009 წლის 27 მარტს ქ. რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 216453193.

კომპანიის შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს შვილობილი კომპანია სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“-დან შემოსავლის მიღება დივიდენდის სახით სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობას კომპანია არ აწარმოებს. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო ქ. რუსთავი, VII მ/რ, კორპ. 12, ბ. 56;

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები არიან:

- პაპუნა ბახტაძე (35001009165) - 58.50%;
- ლიანა ხელაძე (35001038812) - 10.00%;
- დავითი გოგოძე (35001051522) - 5.00%;
- პაატა პატიშვილი (35001022049) - 5.00%;
- ელგუჯა მესხიშვილი (35001079063) - 5.00%;
- ირმა სულაქველიძე (01024048939) - 2.50%;
- ნინო ონეგაშვილი (01019012749) - 2.50%;
- ირაკლი ჯანგულაშვილი (35001026031) - 2.50%;
- ლუარსაბი მეტრეველი (01017000616) - 2.50%;
- გოჩა ცარციძე (35001084121) - 2.50%;
- ზურაბ ზამბახიძე (35001090996) - 2.00%;
- ბარბარე დავითაშვილი (01015020062) - 1.00%;
- ირაკლი ბებიაშვილი (35001033083) - 1.00%;

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ერთადერთ შვილობილ კომპანიას:

დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი	რეესტრში ჩართვის თარიღი	წილობრივი მონაწილეობა
ს/ს რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო	216296639	20.12.1999	100%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გასაჯაროების მიზნით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ელემენტების: აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის მუხლების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებულ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (შემდგომში მსს ფასს) და მათი მომზადების კონცეპტუალურ საფუძვლებთან, თუ ქვემოთ ჩამოყალიბებულ ცალკეული ფინანსური ელემენტების სააღრიცხვო პოლიტიკაში არ იქნა სპეციფიკურად სხვაგვარად მინიშნებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2022 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული პერიოდისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

საკითხები, რომლებშიც ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია), ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2 ვალუტა

ჯგუფი ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3.3 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც ჯგუფი ხდება სახელმეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. ჯგუფი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, ჯგუფი აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. ჯგუფი გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) ჯგუფი ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი განეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.4 ამონაგების აღიარება

ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც პაციენტს მიენიჭება სამედიცინო მომსახურება.

საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია.

ამონაგების აღიარება იჯარით გაცემული აქტივებიდან ხდება თანაბარზომიერად იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულება მოიცავს შეძენის ფასს და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით, გარდა მიწისა, რომელსაც ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 40-50 წელი;
- სამედიცინო ტექნიკა და ინვენტარი 3-10 წელი;
- კომპიუტერები და სხვა საოფისე ინვენტარი 3-7 წელი;
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 3-15 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 7-10 წელი;
- სხვა ძირითადი საშუალებები 3-15 წელი;

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივს წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რაც შეადგენს 10 წელს.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.7 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ჯგუფი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს აღიარებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

3.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ასევე, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეედარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.9 ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვივალენტება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

3.10 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადამღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

3.11 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.12 კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანების მუხლში ერთიანდება მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული კრედიტორული დავალიანებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. ჯგუფი დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯსაღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც ხარჯს.

3.14 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მაშინ თუ მოსალოდნელია ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფიდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება ჯგუფის საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეებზე განაწილებასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	სამედიცინო ტექნიკა და ინვენტარი	ოფისის ინვენტარი	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ბალანსი 31.12.2021	130 172	1 423 960	2 725 795	61 267	237 896	26 000	209 503	4 814 593
შეძენა	-	-	219 424	300	34 196	15 000	-	268 920
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	130 172	1 423 960	2 945 219	61 567	272 092	41 000	209 503	5 083 513
ცვეთა								
ბალანსი 31.12.2021	-	514 796	1 642 146	50 455	128 101	22 514	92 968	2 450 980

შპს „რუსთავის #1 საავადმყოფო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ცვეთა	-	25 025	243 101	2 980	19 585	2 618	17 555	310 864
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	-	539 821	1 885 247	53 435	147 686	25 132	110 523	2 761 844

ბალანსი 31.12.2021	130 172	909 164	1 083 649	10 812	109 795	3 486	116 535	2 363 613
ბალანსი 31.12.2022	130 172	884 139	1 059 972	8 132	124 406	15 868	98 980	2 321 667

5. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ბალანსი 31.12.2021	29 687	29 687
შეძენა	-	-
ჩამონერა	-	-
ბალანსი 31.12.2022	29 687	29 687
ამორტიზაცია		
ბალანსი 31.12.2021	25 236	25 236
ამორტიზაცია	2 969	2 969
ჩამონერა	-	-
ბალანსი 31.12.2022	28 205	28 205
ბალანსი 31.12.2021	4 451	4 451
ბალანსი 31.12.2022	1 482	1 482

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2022	2021
საქონელი	114 885	87 969
მედიკამენტები/მასალები	482 067	354 223
სანვაი	4 451	1 188
უანგბადი	14 407	5 828
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები:	615 810	449 208

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	2 664 459	1 209 905
სხვა მოთხოვნები	1 897	24 983
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	2 666 356	1 234 888

8. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული სალაროში	810	3 400
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1 316 428	2 459 614
აშშ დოლარი რეზიდენტ ბანკში	24	30
ევრო რეზიდენტ ბანკში	755	14 561
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები:	1 318 017	2 477 605

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	186 045	529 643
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:	186 045	529 643

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	834 273	817 078
სოციალური დანარიცხები	45 546	55 411
საოფისე ინვენტარის ხარჯი	3 311	2 250
კომუნიკაციის ხარჯი	36 574	52 070
საკანცელარიო ხარჯი	39 945	30 202
სამეურნეო ხარჯი	206 345	198 752
კომპიუტერის ხარჯი	16 513	15 696
სამედიცინო ინვენტარი და აპარატურის ხარჯი	300	8 380
კომუნალური ხარჯი	200 852	224 499
ცვეთა და ამორტიზაცია	313 833	337 977
საექსპლუატაციო ხარჯი	11 050	5 466
სანავის ხარჯი	37 108	31 900
საბანკო ხარჯი	344	537
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	126 813	125 458
რემონტის ხარჯი	17 380	13 384
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	2 000
სხვა ხარჯები	156 419	953 706
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2 046 606	2 874 766

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს.